ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1564041

ნომერი: AR1259874

თარიღი : 22.10.2014

გაცემის თარიღი : 28.10.2014

გაცნობის თარიღი : 15.07.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 18/20 , (ნაკვ. 15/072) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის სახურავზე შპს "ჯეოსელის" კუთვნილი მობილური კავშირგაბმულობის სადგურის და

ანტენების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ლუბლიანას ქ. #18/20, (ნაკვ. #15/072)-ში, შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე შპს "ჯეოსელის" კუთვნილი მობილური კავშირგაბმულობის სადგურის და ანტენების განთავსებას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა დარომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.13.01.015.101; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882014556122 20.10.2014წ; ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიისსამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ჰიგიენური დასკვნა პროექტზე #187 08.07.2014 წ; შ.პ.ს "მერიდიანი – 2005"–ის სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტი; მეტეოროლოგიის ინსტიტუტის რადიოფიზიკის, ოპტიკის და აკუსტიკის განყოფილების დასკვნა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი, მინდობილობა, ქირავნობის ხელშეკრულება) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ლუბლიანას ქ. #18/20, (ნაკვ. #15/072)-ში, შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე შპს "ჯეოსელის" კუთვნილი მობილური კავშირგაბმულობის სადგურის და ანტენების განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციული მდგრადობა

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge